



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31223008
თარიღი: 27/10/2022

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი იმნაიშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობისა და მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

სოფელი, თემი, დაბა: შუხუთის ადმინისტრაციული ერთეული.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 25. 09. 2022 წელი 13:00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული, დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **გიორგი იმნაიშვილი**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ია მოქია**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე**, მერიის წარმომადგენელი შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში **არჩილ ორაგველიძე**, სპეციალისტი **ზაირა ფირცხალაიშვილი**, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე**, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრაელიძე** და ამომრჩევლები.

დეპუტატმა **გიორგი იმნაიშვილმა**, აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთერთი საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩატარებას. მან ისაუბრა ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ჰქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) მათი ძირითადი მოთხოვნა სოციალურ პრობლემებსა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეხებოდა, არაერთ მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა მედიკამენტების, თუ სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის ფარგლებში. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად მონაწილეობდა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად საკრებულოს დეპუტატმა **გიორგი იმნაიშვილმა** წარადგინა 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. და აღნიშნა, რომ უფლებამოსილებას შეუდგა 2021 წ. 4 დეკემბერს. არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე. ასევე, ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრი. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის“ საბჭოს წევრი.

დეპუტატმა **გიორგი იმნაიშვილმა** ყურადღება გაამახვილა საკრებულოს იმ კომისიის საქმიანობაზე, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. მან ესაუბრა საანგარიშო პერიოდში შესრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მათ შორის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ პროექტებზე.

შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოწესრიგდა შიდა სასოფლო გზები, განხორციელდა ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობის სამუშაოები, მოწესრიგდა წყალმომარაგების სისტემა და სხვა. მაგალითად: გელა ჩხაიძის ეზოსთან გაკეთდა მისასვლელი ხიდი, ქვემო შუხუთში ეკლესიის მიმდებარედ მიმდინარეობს სკვერის მოწყობა. დაწყებულია რეგიონალური განვითარების ფონდით გათვალისწინებული შუხუთი-გაგურის შიდა სახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია ასევე დაგეგმილია შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება. გათვალისწინებულია ზემო შუხუთში წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია და კალათბურთის სტადიონის მოწყობა. სოფლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში მიმდინარეობს შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერებისა და თანამედროვე მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები, ასევე ზემო შუხუთში იხსნება სტანდარტებით აღჭურვილი სკრინინგ-ცენტრი. 2023 წლისთვის გათვალისწინებულია შუხუთის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. აპროექტების სტადიაშია მოსახლეობის სასმელი წყლის მომარაგების პროექტი რომლის ღირებულება დაახლოებით 36 მილიონი ლარია. პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლით.

დეპუტატმა **გიორგი იმნაიშვილმა** შუხუთის მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მოეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

მოქალაქე **ჯუმბერ ორაგველიძე** დაინტერესდა თუ როდის დაიწყებოდა ქიქოძის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოქალაქე **ნუგზარ ორაგველიძე** დაინტერესდა რა შემთხვევაში ეხმარება სახელმწიფო მოსახლეობას საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავების შეკეთებისას.

დეპუტატმა **გიორგი იმნაიშვილმა** უპასუხა, რომ პროექტი დასრულებულია და მომავალი წლისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ წმინდა გიორგის ქუჩის და საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული ქუჩის ასფალტირება, რაც შეეხება სახურავების პროექტებს, სახელმწიფო ეხმარება მოსახლეობას სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების აღდგენაში.

დეპუტატმა **გიორგი იმნაიშვილმა** სიტყვა გადასცა შუხუთის, ქვიანის, ჯაპანის, ჩოლობარგის, ჭყონაგორის და ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში მაჟორიტარ დეპუტატს **ზაზა წულაძეს**. დეპუტატი **ზაზა წულაძე** მიესალმა ადგილობრივ მოსახლეობას. დეპუტატმა ისაუბრა სოციალურ დახმარების კუთხით.

საკრებულოს დეპუტატი **გიორგი იმნაიშვილი** მოსახლეობას დაპირდა პრობლემების შეძლებისდაგვარად მოგვარებას, მადლობა გადაუხადა მოსახლეობას თანადგომისთვის და საკრებულო აპარატს თანამშრომლობისთვის..

პატივისცემით,

გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია-საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე